

რას ვარაუდობენ საწყლოსნო თხილაშურები

... მიჰქრის კატარა. მას უკან ვერაფერზე ხელნაწილი ნიადაგი მიყვება ტალღის ქორხრზე „ახსენებელი“ მოთხილაშურე. აი, წინ გამოჩნდა ხის ტრამპლინი. სპორტსმენი თვალის დახამბამბაში, მსუბუქად გადაეწოლო მას, პაერში აფრინდა, მერე ისევ ოდნავ შეეხო წყალს და გზა განაგრძო. ეს უჩვეულო ასპარეზობა ამას წინათ ვინაზე მოსკოვის „საწყლოსნო სადგურ „დინამოზე“. აქ გამოდიოდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის I ჩემპიონატის მონაწილენი საწყლოსნო-სათხილაშურო სპორტსმენები.

საწყლოსნო თხილაშურები სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც ერთ ან ორ სპეციალურ თხილაშურზე კატარის უკან ბუქსირით ადამიანის სრალს გულისხმობს. კატარის სირქარე დაახლოებით 35-50 კილომეტრი უნდა იყოს

საათში. ამბობენ, რომ წყლის თხილაშურების სამშობლო პავაის კუნძულებია. იქაურები ფიცარზე წვებოდნენ და დიდი ტალღების არეში შეცურდებოდნენ ხოლმე, შემდეგ კი მთელი ტანით ადგებოდნენ. შემდგომში სპორტის ეს სახეობა გავრცელებულა ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებული პოპულარობა შეერთებული შტატების ზღვისპირა ადგილებსა და საფრანგეთში მოუპოვებია.

1949 წელს საფრანგეთში გაიმართა მსოფლიოს I ჩემპიონატი საწყლოსნო თხილაშურებში, რომელშიც გამოიღწიეს აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, კანადისა და მექსიკის სპორტსმენები. მას შემდეგ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები რეგულარულად ტარდება. შეჯიბრებების პროგრამაშია სამი სახეობა როგორც

ქალთა, ისე ვაჟთა შორის: სლალომი, ტრამპლინიდან სტომა და ფიგურული სრიალი. ამ უკანასკნელში გამოსვლები შეიძლება იყოს ერთეულია, წყვილია და მასობრივი.

სსრ კავშირში საწყლოსნო თხილაშურები პირველად ხუთი წლის წინათ გამოჩნდა. ახლა კი სპორტის ეს სახეობა 53 ქალაქშია გავრცელებული. მაგრამ თხილაშურებისა და კატარების ნაკლებობამ სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა ჯერჯერობით მასობრივი ვერ გახდა.

მიმდინარე წლის დასაწყისს ენთუზიატებმა თავი მოიყარეს მოსკოვში. მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც. მე ველაპარაკე თბილისის ზღვის საწყლოსნო სადგურის დირექტორს გ. ასათიანს. იგი სპორტის

ოსტატია ტანვარჯიშში და საწყლოსნო თხილაშურების დიდი თავყვანისმცემელი. — თბილისსა და მის გარეუბნებში ბევრი წყალსატყვია, — თქვა მან, — საქართველოს საწყლოსნო მოთხილაშურეებს აქვთ საგარეოში ადგილები, მაგრამ არა აქვთ სპორტული ინვენტარი, სპეციალური საბუქსირო კატარები.

ეს აკლიათ არა მარტო ქართველ სპორტსმენებს. მიუხედავად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობისა, ამ სახეობა სახეობამ აქამდე ვერ პოვა მხარდაჭერა ვერც სპორტულ საზოგადოებებში და ვერც დოსაფში.

საინტერესოა პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის შეხედულება საწყლოსნო თხილაშურებზე: — როცა მეკითხებოდა, სპორტის რომელი სახეობით ვარ გატაცებული, უყოყმანოდ ვპასუხობ — საწყლოსნო თხილაშურებით. სპორტის ამ სახეობას გაგარინი ჯერ კიდევ 1961 წლის ზაფხულში გაეცნო,

როცა შავი ზღვის სანაპიროზე ესვენდა. მასმე წინ 130მეტრზე დაინახა კატარა, რომელსაც რეჟისორი კავერინი მოთხილაშურე. როცა გაგარინმა, სადალი ფიზიკური წრთობის ადამიანმა, თვითონ სცადა თხილაშურებზე სრიალი, ჩქარა დაიღალა. შემდეგ იგი დიდ ხანს ვარჯიშობდა, რათა მიჩვეულიყო თხილაშურებზე თავისუფლად დგომას. მან მალე იგრძინო ამ სპორტის სარგებლობა და თავის ამხანაგებში მისი პრობაგანდა გააჩაღა. ახლა ყველა კოსმონავტი გატაცებით მისდევს საწყლოსნო თხილაშურებს.

წელს საწყლოსნო თხილაშურები დიდ სარბიულზე გამოდის: დამტკიცდა სპორტული კლასიფიკაცია ამ სახეობაში, ხოლო 23-24 ივლისს მოსკოვში, „დინამოს“ საწყლოსნო სადგურზე, გაიმართება სსრ კავშირის I ჩემპიონატი საწყლოსნო-სათხილაშურო სპორტში.

ბ. ხანშიძე (ჩვენი საკ. კორ.), მოსკოვი.

ასეთია ვათი შესაძლებლობანი

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დაჩინილ დროს მსოფლიოს ყველა კუთხის მძლეოსნები ისეთნაირად „ახაწილებენ“, რომ საუკეთესო შედეგებს სწორედ ტოკიოში მიაღწიონ. ყველა ოცნება ერთია — ავიდეს გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მაგრამ სპორტი სპორტია და გაინარჩუნებს, ვისაც მეტი დენით შეიძლება უკანასკნელი გასროლისთვის, ვინც არა მარტო ტექნიკურად და ფიზიკურად იქნება შესანიშნავად მომზადებული, არამედ ყველაზე „ცივისსისხლიანი“ აღმოჩნდება, ადვილად გადაიტანს ფიზიკურ ჭიდილს.

თუ ვასული წლის შედეგებით ვიმსჯელებთ, უპირატესობა საბჭოთა მძლეოსანი ქალების მხარეზეა, განსაკუთრებით ტყორცნაში, ხტობასა და ხუთქილაში (დები ი. და თ. პრე-სები, ტ. შენელაოვა, ე. ოხოლინა და სხვ.). ზემოთ დასახელებულთ უცხოეთშიც ძალიან კარგად იქონებენ და ერთხმად აღიარებენ ოქროს მედალების მთავარ პრეტენდენტებად ბაღრისა და შუბის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, ხუთქილაში და სიგრივე ხტობაში. და მაინც, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ ყველაფერი განადგებულა აქვთ. თ. პრეის მსოფლიოში მარშანსაც

უძლიერესი იყო ბაღროს ტყორცნა (59,29 მ) და ბირთვის კვრაში (17,59 მ), მაგრამ თვით თამარი დიდად აფასებს მოსალოდნელ კონკურენტებს ბირთვის კვრაში რ. გარი-შა და მ. პალმბოლს (ორივენი — გარი-დან), რომლებმაც მარშანს აჩვენეს 17,33 და 17,30, ხოლო ბაღროს ტყორცნაში ჩეხოსლოვაკელ ნ. ნემეცოვას (55,88), გერმანელებს ი. ლოტცეს (55,75) და დ. ლორენცს (55,37) ამღვეს უპირატესობას.

ვასული სეზონის შედეგების მიხედვით შუბის ტყორცნაში მსოფლიოს უძლიერესთა ათეულს დიდი უპირატესობით ლიდერობდა ე. ოხოლინა (59,78). მისი უახლოესი კონკურენტის მ. გრაფეს (გდრ) მარჯვენელი კი მხოლოდ 58,45 მეტრს მიაღწევდა. ასე რომ, გერმანელს ტოკიოში ფაქტიურად II+III ადგილებისთვის ბრძოლა მიუხედავად სხვა კონკურენტებთან, კერძოდ, ისევ საბჭოთა სპორტსმენებთან, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მარშანს ხომ დ ადვილი დაი-საკუთრეს ათეულში!

სულ სხვაგვარია ძალთა განაწილება სიგრივესა და სიმაღლეზე ხტობაში. სიგრივეზე ხტობაში კვლავ მიუწვდომელია მსოფლიო რეკორდსმენი ტ. შჩელკანოვა, რომლის საუკეთესო შედეგი მარშანს 660 სმ იყო, ხოლო ამას წინათ მოსკოვში მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა—670 სმ. ვასული წლის შედეგებით მის უახლოეს მებრძოვებად ასახელებენ ჩეხოსლოვაკელ ე. პრეიკოვას (647) და ინგლისელ მ. რენსს (644). მაგრამ, მაინც, ტ. შჩელკანოვას, ისე როგორც სიმალეზე ხტობაში რუმინელ ი. ბალაშს, მხოლოდ შემთხვევით შეუძლია დაკარგოს ოლიმპიური ოქროს მედალი. სამწუხაროდ, სიმალეზე ხტობაში ჩვენს სპორტსმენთა შორის საუკეთესოებს ტ. პუშკარიოვასა და ტ. ჩენჩიკს საპირისპირო ადგილებს მოპოვების არავითარი შანსი არა აქვთ.

დაბოლოს, ხუთქილაზე მართალია, მარშანს ყველაზე კარგი შედეგი (4.863 ქულა) ტ. შჩელკანოვას პქონდა, რაც თითქმის 100 ქულით ჯობდა ათეულში მეორე ადგილზე მყოფ ი. მაინეს (გერ) მაჩვენებელს, მაგრამ ეს უპირატესობა განაპირობა იმან, რომ მსოფლიო რეკორდსმენს ი. პრეის ვასულ წელს არ უქცია ძალეები. წელს კი მან ორჯერ გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვა, ვიდრე მისმა ძირითადმა კონკურენტებმა, და საუკვო არაა ტოკიოში მისი გამარჯვება.

ო. ივანოვილი

წინაა. ა. აღრიძო

იალტაში დაიწყო ასპარეზობა შაშვი სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე ნახევარი. ცხრა ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავინდებურად უღვასათათვეში ა. ანდრეიკო, რომელსაც 7 ქულა აქვს. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება ბ. შტიტინი.

გამოვლინდა ახალი ძალები

სპორტკლუბ „სინათლის“ საგზაფხულო სპარტაკიდაზე 7 საამქროს 500-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისთვის. ელექტრომურწინების გუნდებმა პირველსა მოიპოვეს ქართულ ჭილაობასა და მაგიდის ჩოგბურთში, ვაგონშეგვეტებულმა გაიმარჯვეს სროლასა და ძალოსნობაში, მე-2 სატროლიბურს დეგოს წარმომადგენლები უძლიერესი იყვნენ ვაჟთა ფრენბურთსა და ცურვაში. ტრამვაის №1 დეპოს ქალთა გუნდმა ყველა დაჯანსა ფრენბურთში. აქაურ სპორტსმენებს დარჩათ გამარჯვება მძლეოსნობაშიც. კალაბურთულთა ტურნირი დამთავრდა ტრამვაის მე-2 დეპოს ვაჟთა და 1-ლი სატროლიბურს დეპოს ქალთა გუნდების გამარჯვებით. ორი პირველი ადგილი დაისაკუთრა სლიანდურს სამსახურის გუნდმა მომამთა და მოჭადრაკეთა ასპარეზობებზე.

საპარტაკიდაზე ბევრი ნიჭიერი მუშა-ფიზკულტურელი გამოვლინდა.

მ. კახიანიძე

სიმაგრის დღესასწაული

საპარტიველოს კოლმეურნე სტენოსანთა შეჯიბრებას, რომელიც დღეისათვის იპოდრომზე მიმდინარეობს, თამაშად შეიძლება ეწოდოს რესპუბლიკის „მცირე ჩემპიონატი“, რადგან რესპუბლიკურ პირველობაზე სწორედ სოფლის მხედრები წარმოადგენენ ჩემპიონობისთვის მებრძოლ ძირითად ბირთვს.

დაბრკობებითა გადალახვანი „გახსნის პრიზზე“ 15 მხედარმა აიღო სტარტი, მაგრამ აქედან სამ პიროვნებას უღავნა უპირატესობა პქონდა და ნანარჩენებზე. ზუგდიდელმა გ. კოჩიანმა და გულრიფშელმა — ა. დოლენკომ და ნ. კვიციანიამ საკარგო ქულების გარეშე დამთავრეს ასპარეზობა. დამატებითი ცდილას კვლავ გამოუმთავრდა კვიციანიას მაღალი ოსტატობა, რომელმაც ამჯერადაც უშეცდომოდ განვლო დისტანცია.

ერთი შეცდომა დაუშვა დისტანციაზე კოჩიანმა და მეორე ადგილი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე დარჩა ა. დოლენკო.

საინტერესო იყო შეჯიბრება 2-კილომეტრიან სადა დოლში. აქ სამი მხედარი — ზუგდიდელი ბ. ხასია, გ. დარასელია და გულაუთელი კ. ჭენია თავიდანვე „მოწყდნენ“ დანარჩენებს და ასეთივე თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილებიც.

სამედიის პირველ სახეობაში — სამანუელო სელაში დაწინაურდა გულრიფშელი დ. ხოფერია. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან გალეი მხედრები ვ. ოძელაშვილი და რ. გუგუჩია!

ისინი ქართული ცხენოსნური სპორტის ეროვნული სახეობა და მკურნებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურისა და გაულაუთის გუნდები. გაიმარჯვეს ჩოხატაურელებმა.

ასპარეზობის მეორე დღეს სამედიში მოასპარევე მხედრები სავლეთ გამოცდაში ცდიდნენ ძალებს. ორი სახეობის შემდეგ ძალთა თანაფარდობა არ შეცვლილა: კვლავ წინაა დ. ხოფერია, მეორე-მესამე ადგილებზე არიან ვ. ოძელაშვილი და რ. გუგუჩია.

დამატებითი ბრძოლა გაიმართა „მორჩევით“ დაბრკობებითა გადალახვანი კაბუკთა შორის. აქ პირველობა არავის დაუთმო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მო-

ნაწილემ, გულრიფშელმა ხ. ანდარბუამ. მეორე ადგილზე გამოვიდა ზუგდიდელი ა. კრიხენკო. სამაგფერია, ზუგდიდელი გამარჯვებული გამოვიდა „როული კლასის“ დაბრკობებითა გადალახვანი. აქ მეორე იყო გალეი რ. ქეცბაია.


გუნდურ ჩათვლაში წინ არიან ზუგდიდელები.

შეჯიბრება დღეს მთავრდება.

ბ. ცხენაული

სურათებზე: ზევით — ჩოხატაურისა და გულაუთის გუნდების შეხვედრის მომენტი ისინდში, ქვევით — სადა დოლი 2 კილომეტრზე.

ფოტო მ. ზარგარინისა.



სვლანგთა ზონალური...

გუმის თბილისში, კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო სტუდენტთა საკავშირო თამაშების ზონალური ტურნირი კალათბურთში.

მოგვყავს პირველი დღის ტექნიკური ანგარიშები: ქალები — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — ვირონეის ტექნოლოგიური ინსტიტუტი 34:40, აშერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — კუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 13:63. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ამ დღეს ისვენებდა; ვაჟები: ოდესის პედინსტიტუტი — ჩელიაბინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 63:48, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი — აშერბაიჯანის ზავთობის ინსტიტუტი 57:36.

საქართველოს პოლიტექნიკური და ტამკენტის ტექნოლოგიური ინსტიტუტების გუნდთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა—65:40.

მომგასამინენი „სპორტუმი“ მამროშავებზე

ცნობილია, რომ საკავშირო რადიოს უკანასკნელ ცნობათა სპორტული გამოშვების ტრანსლაცია ზუსტად 24 საათზე იწყება (თბილისის დროით). ამ დროსვე ამთავრებს საქართველოს რადიო თავის გადაცემებს, ხოლო საკავშირო რადიოს სპორტული გამოშვების გადმოცემის დაწყებას სისტემატურად აგვიანებს 2-3 წუთით. ამის გამო დღის საინტერესო სპორტულ ღონისძიებათა შესახებ რიც ცნობებს ჩვენ ვერ ვგებულობთ.


განა მწელია საქართველოს რადიომ ისე მოაწყოს მუშაობა, რომ მთლიანად მოგვასმენინოს სპორტული გადაცემა მოსკოვიდან?

რ. გოგოხია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპრობლემის ინსტიტუტის ასპირანტი.

რეკლამა!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპრობლემის ინსტიტუტის ასპირანტი.

საქართველოს სსრ-ის მატჩები



ბათუმში დამთავრდა საქართველოს ჩოგბურთელთა ჩემპიონატი, რომელმაც მათგან დაიწყო ინტერესი გამოიწვია. ვაჟთა ერთეულების თანრიგში ფინალამდე დაუმარცხებლად მიადრინეს მძიმე ნუგზარ და ლეონარდ მძინარიშვილებმა. ნახევარფინალში პირველმა დაამარცხა ა. ვერულავა, ხოლო მეორემ — გ. ასალაძე და აი. ფინალში ერთმანეთის პირისპირ მძიმე დადგნენ! გამარჯვება და ჩემპიონობა წილად ხვდა ნუგზარს (3:6, 6:3, 6:4, 6:1). მძიმე წყვილთა შეჯიბრებაშიც ისახელეს თავი. დამძიმებულ ბრძოლაში მათ მოუგეს ფინალური შეხვედრა პ. მეტრეველისა და

გ. მუსაელიანის „ლეტს“ — 6:2, 9:7, 12:10.

ქალთა ერთეულების თანრიგში პირველობა დაიკავთარა რ. აბუხანდაძემ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა „იმსხვერპლა“ ფინალში — 6:4, 6:2. აღსანიშნავია, რომ აბუხანდაძემ წელს ერმოლოვა უკვე მეორედ დაამარცხა.

ეს ფაქტი მეტყველებს აბუხანდაძის ოსტატობის თვალსაჩინო შრდაზე. მეორე წარმატება მოიპოვა აბუხანდაძემ ქალთა წყვილების შეჯიბრებაში. აქ მან ბ. ხარჩილავასთან ერთად წ. სოლოდოვინიკოვა — წ. ლოდომერიძის წყვილთან ფინალურ შეხვედრაში იოლი მოგებით კიდევ ერთი პირველი ადგილის მოპოვება შეძლო.


მეორეული წყვილების — ერმოლოვა — მუსაელიანისა და აბუხანდაძე — ნ. მძინარიშვილის ფინალურ მატჩში გამარჯვების სასწორი პირველობა მხარეს გადაიხარა — 7:5, 6:4.

ქართველ ჩოგბურთელებს ახლო ხანში უნგრეთში უწევთ გამგზავრება, სადაც 10 აგვისტოს ამ ქვეყნის ღია პირველობა იწყება.

წ. ანდუაძე

სურათები: ზევით — რ. აბუხანდაძე, მარჯვნივ — ლ. და ნ. მძინარიშვილები წყვილთა ასპარეზობისას. ფოტო პ. ქებაბიანისა.

- მძინარის „სოლო“ და „ლეტს“.
- „ფინალურ სამხმთა“ შეხვედრა — სპარტაკოს...



მ დ რ ი ვ ი ტ უ რ ი ს ო ბ ი ნ

● ველით ფორვარდთა „სიტჰავს“ ● ლიდერები — მარტინი ● გარდასრულებული მატჩების კარგადაა ● გადამწყვეტი მატჩების „კასპალი“ ● „ჰედა სართლის“ სპეციალი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. ჩვეულებრივ, სწორედ გათამაშების ამ ეტაპზე შედის გუნდები სამწველ საბრძოლო ფორმაში. მათი შემადგენლობანი უფრო სტაბილური ხდება, საგანაფხულო ძიებანი და ექსპერიმენტები დასრულებულ სახეს ღებულობს, იზრდება თავდასხმის შედეგანობა და ა. შ.

ეს ასეა. მაგრამ თავდასხმელთა ფეხბურთობაზე ჯერჯერობით სახარბილოს ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ავიღოთ, თუნდაც, ბოლო ტურის შეხვედრათა შედეგები: 2:1, 1:1, 0:1, 1:1, 0:1, 0:0, 1:0 და მხოლოდ ერთი 2:2. გადამწყვეტი დარტყმის კრიზისი ფორვარდებს შორის ნათელია. კარის ალბა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება.

ჩემპიონატს სადღესოდ ჰყავს ორი ლიდერი: „სპარტაკი“ და „შახტიორი“ (თბილისი 19 ქულა), მაგრამ მათი მოწინავე პოზიციები ერთობ მერყეობს, ვინაიდან ლიდერებს კვალში მიჰყვებიან მოსკოვის „ტორპედო“, კიევისა და თბილისის „დინამოელები“ — 18-18 ქულა. საკმარისია მცირე შეხვედრებიც კი და რამდენიმე საფეხურით ჩამოვარდნა განაჩინებულა. აღსანიშნავია, რომ ამ სუბიექტის თავდასხმა დასაბოლოებით ერთი ძალისაა (18-19 გატანილი გოლი; მხოლოდ ტორპედოელები არიან დაწინაურებულნი — 24 ბურთი), მაშინ, როცა დაცვის სიმტკიცეში აქ მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. თუ ორივე ლიდერს ჩინებულ შურგი აქვს (6-8 გაშვებული ბურთი), დანარჩენი გუნდების უკანა ხაზები ვერ დაიჭრიან თავიანთი კარის ასეთ ხელსაწყოებთან: თბილისელებმა და ტორპედოელებმა მიიღეს 11-11 ბურთი, ხოლო კიეველებმა — 12. განსხვავება თვალსაჩინოა.

სვალ უადრესად საპასუხისმგებლო მატჩებია თბილისში (კიევის „დინამოსთან“), ქუთაისში (მოსკოვის „დინამოსთან“), ლენინგრადში (როსტოვის

არმიელებთან), მოსკოვში — „სპარტაკი“ — მინსკის „დინამო“.

ვილაპარაკოთ ციფრების ენით. გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან ქუთაისის ფეხბურთელებს მისცემს კიდევ 2 ქულას. 13 ქულა კი ნიშნავს ცხრილის შუაგულში ასვლას და სასიამოვნო პერსპექტივებს. ამიტომ სვალ ქუთაისელებს მართებთ მთელი თავიანთი უნარის გამოჩენა ამ გადამწყვეტი ნაბიჯის წინ გადასადგმელად.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). 18-18 ქულა. მატჩრიალურ დაინტერესებას აქ კომენტარები არც ჰირდება. გამარჯვებული ქულათა საკმაოდ მარაგს იკეთებს. ბრძოლას შეუპოვარი ხასიათი ექნება, მით უმეტეს, რომ ორივე გუნდი საუკეთესო ფორმაშია.

მწვლია რაიმე პროგნოზის თქმა დონეცის მატჩზე. მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში „შახტიორმა“ სულ ახლახან ცხადყო, რომ იგი შემთხვევით როდია ლიდერის როლში. სვალ იგი საკუთარ მინდორზე მიიღებს როსტოვის სკა-ს, რომელთანაც განსაკუთრებული ანგარიშები აქვს. სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში როსტოველებმა ხუთჯერ მოუგეს „შახტიორს“ და მხოლოდ ერთხელ განიცადეს დამარცხება (2 ფრე). ცხადია, მასპინძლები სრული მინდორებით ითამაშებენ.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი). ლედაქალაქის მათგანელები ძალზე დაძაბული მატჩის მოწმენი გასდებიან. ერთი საინტერესო დეტალი: როგორც მოსკოველებს, ისე მინსკელებს ყველაზე ნაკლები ბურთი აქვთ გაშვებული — 6-6. ვინ შეძლებს შეინარჩუნოს ეს მინიმალური ციფრი?

ახლა ჩავიხედოთ ცხრილის ქვედა ნახევარში, — იქ, სადაც წყდება „ფონა-არყოფნის“ საკითხი. ლენინგრადის „ზენიტს“ ძალიან ცუდად აქვს საქმე. ასე წარუმატებლად ლენინგრადელებს ბოლო წლებში არ უთამაშიათ, სვალ კი მათ ისეთი მძიმე გამოცდა ელით, როგორცაა მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“. თუ „ზენიტმა“ თავის მოკრძალებულ ბიუჯეტს (7 ქულა) აღარაფერი შემატა, მისი მდგომარეობა უიმედო ხდება.

ასეთივე დღეში არიან „ვოლგა“ და „კრილია სოვეტოვი“. ამიტომ მით უფრო დიდწინანდელგანაა სვალინდელი მატჩი მათ შორის.

კიევის უმარაგება

კიევი, 18 ივლისი (ტელეფონი). დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის პირველობა ძალისხმობაში. დღისით გაიმართა ქვემძიმე წონის შტანგისტთა ასპარეზობა. ხაბაროვსკელმა ვ. გოლოვანოვმა ევროპის ჩემპიონის ტიტულს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც დაუმატა. მისი შედეგი — 485 კილოგრამი — ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია და ინგლისელ ლ. მარტინის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე 5 კილოგრამით უკეთესი შედეგი. ამავე დროს იგი კიურასოელი ძალისხმობის — ფლორესის არაოფიციალური მსოფლიო რეკორდის გამეორებია.

შახვედრები სვამრებთან

ამ დღეებში ჩვენს ქვეყანაში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრებს გამართავენ უცხოელი ფეხბურთელები — იაპონიის ოლიმპიური ნაკრები და ბულგარეთის „მარეის“ გუნდი.

იაპონელები ითამაშებენ ხაბაროვსკში (21 ივლისს სკა-სთან), სვერდლოვსკში (24-ში, რსფსრ-ს „ბ“ კლასის ნაკრებთან), ვოლოგრადაში (28-ში, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან) და კიევიში (31-ში, უკრაინის „ბ“ კლასის ნაკრებთან).

ბულგარელები დღეს ალმა-ატაში ხვდებიან „კარატს“. 22 ივლისს სტუმრები ითამაშებენ ბაქოში „ნეფტჩიანკთან“, ხოლო 25 ივლისს — ერევანში „არარატთან“.

პირველი გამარჯვება

მ. ხალაპათი (ბაშკირეთის ასსრ). 17 ივლისი. (ტელეგრაფით, ჩვენი სტე. კორ.). აქ დაიწყო ნახევარფინალური ეტაპის მატჩები „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის.

გათამაშების პირველ ტურში თბილისის დინამოელთა მეტოქე იყო ორჯონიძის „სპარტაკი“. თბილისელებმა გამარჯვება — 3:1. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა ყაზანის „სკია“ — 2:0.

რ. უშვერიძე

დაკარგული ქულა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 18 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ალგა“ (ფრუნზე) 8:8 (2:0).

„ლოკომოტივი“: რუხაძე (ბერიაკვილი), ჩხეიძე, ჩუბინიძე, წოწე-ლია, კიხიაია, იაშვილი, შაფათაია, უორდანი, მირიშნიკოვი, ახალკაცი, დავითულიანი (პარესიანი).

„ალგა“: პერეუდინი (ფელი), მიდიგულოვი, რ. ბიბაევი, დ. ბიბაევი, საფიულინი (სულთანოვი), იგნატენკო, მუსაევი, ბრაუნეიკოვი, მერზლიკი-ნი, ბაბანოვი, ტიაგუსოვი.

მსაჯი პ. ვალსკი (რიგა).

დასაწყისში ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ „ლოკომოტივი“ თავის აქტებს 2 ქულას შექენდა. გუნდი თამაშობდა მინდორზე, კოლექტივრად, შეტევაში აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო ფორვარდები, არამედ ნახევარმცველებიც და სტუმრები იძულებული იყვნენ გამოიერებულნი დაცვით ეწარმოებინათ ბრძოლა საკუთარი საჯარბო მოედნის მიღმობში. მალე „ალგას“ კარში გატანილ იქნა პირველი ბურთი პერეუდინისა და საფიულინის შეედომის შედეგად, ხოლო 25-ე წუთზე დავითულიანის მიერ მოწოდებული კუთხური ზუსტად გამოიყენა ახალკაცი — 2:0.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და

ლოკომოტიველთა შეწყობილი თამაშიდან ნახსიცი არ დარჩა. სულ მცირე ხანში გუნდი მთლიანად აირია და ინიციატივა მეტოქეს ჩააბარა. ფრუნზელებმა ეს კარგად გამოიყენეს და ბაბანოვმა რუხაძის კარდან წინდაუხედავი გამოსვლის შედეგად გაქვითა პირველი გოლი. „ლოკომოტივმა“ შეცვალა მეკარე და ბერიაკვილის ორი უხეშო შეედომა გუნდს ორ გოლად დაუჭრა (ბაბანოვი, მერზლიკინი). „ალგა“ გავიდა წინ — 3:2.

მხოლოდ ძალების უღიდესი დაძაბვით შეძლეს თბილისელებმა წონასწორობის აღდგენა (გოლი გაიტანა უორდანიამ) და მატჩის ფრედ დამთავრება.

რ. შორიძე

მატჩები საქართველოს პირველობაზე

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში გამოტოვებულ იქნა მთელი რიგი მატჩები. 5 ივლისის ტურის შეხვედრები ჩატარდება 23 ივლისს, ხოლო 12-ისა — 29 ივლისს.



სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მთავარი პრიზების (პირველი სამი ადგილის დაჯივებისთვის) გარდა დაწესებულია ტრადიციული პრიზები, რომლებიც გარკვეული მანქანებისთვის გადაეცემა როგორც მონაწილე კოლექტივებს მთლიანად, ისე ცალკეულ ფეხბურთელებსაც.

საინტერესოა, რა მდგომარეობა აქვთ პრიზებისთვის მებრძოლ პრეტენდენტებს სვალინდელი ტურის წინ.

ფეხბურთის ფედერაციის პრიზი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი გადაეცემა ძირითადი და სათადარიგო გუნდების მანქანების უკეთესი ჭამისთვის. აქ სადღესოდ დაწინაურდა კიევის „დინამო“ — 41 ქულა (ძირითად შემადგენ-

ლობას 18 ქულა, სათადარიგოს — 28). მომდევნო ადგილებზე არიან „შახტიორი“ — 39 (19+20) და თბილისის „დინამო“ — 38 (18+20).

ცენტრალური საბჭოს პრიზი

საკავშირო სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზით დაჯილდოვდება დუბლიორთა ტურნირში გამარჯვებული გუნდი. აქ ასეთი მდგომარეობაა: „დინამო“ (კიევი) — 28 ქულა, „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ — 20-20, „სპარტაკი“ — 18.

ბ. ფედოტოვის სახელობის პრიზი

გამოჩენილი ფეხბურთელის ბ. ფედოტოვის სახელობის პრიზისთვის ბრძოლაში (ყველაზე

შედეგანი გუნდი) დაწინაურდნენ მოსკოვის ტორპედოელები, რომელთა აქტივობა 24 გატანილი ბურთი, როსტოველების ანგარიშზეა 21 გოლი, „სპარტაკმა“, „შახტიორმა“ და კიევის „დინამომ“ გაიტანეს 19-19 ბურთი, თბილისელებმა — 18.

„სოვეტსკაია როსიას“ პრიზი

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზით ჯილდოვდება გუნდი, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით შეძლებს თავდაპირველად წაგებული მატჩების მოგებას. „კრილია სოვეტოვი“ აგებდა „ზენიტთან“ (0:1) და გამარჯვა 2:1, „ნეფტჩიანი“ — მოსკოვის „ტორპედოსთან“ (0:1) — 8:1, კიევის „დინამო“ — ცსკა-სთან (0:1) — 2:1.

„ფუტბოლის“ პრიზი

დიდი ანგარიშით (არანაკლებ 3 გოლის განსხვავებით) ყველაზე მეტი მატჩის მოგებისთვის გუნდს გადაეცემა „ფუტბოლის“ პრიზი. აქ ასეთი მდგომარეობაა: „სპარტაკი“, „ტორპედო“ (მოსკოვი) — 3-3 მატჩი, სკა, „შახტიორი“ — 2-2.

„ტრუდის“ პრიზი

„ტრუდის“ რედაქცია ყოველწლიურად აჯილდოებს სეზონის საუკეთესო სხაიერად სადღესოდ რ. კოპაევს (სკა) გატანილი აქვს 8 ბურთი, ვ. ივანოვის (მოსკოვის „ტორპედო“) — 7, ვ. ბარკიას (თბილისის „დინამო“), ვ. კანევსკის (კიევის „დინამო“) — 6-8.

ბ რ ე მ ლ ა ს ა კ ა ტ ი რ პ რ ი ზ ე ბ ი ს თ ვ ი ს

სახური ხსენებები

4. სამი მატრი პრალაუი

მაშ ახმ, პირველი მატრი, პირველი და ერთადერთი წაგება ჩეხოსლოვაკიაში, რა გავწყობა. ტურნე მარცხით დაიწყო, თუმცა შედეგებთან ერთად მომხდარა... ბურვესტიკლები წინ იყვნენ მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისში (3:1) და როცა მას დასთავრებას 2 წუთი აქვდა (10:7).

შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელიდან იქნა გავიწვეული და მატრი მასპინძლებმა მოიგეს — 19:17 (9:10). ამ მატრებში, მართალია, გარკვეული „წვლილი“ მსაჯმა შეიტანა, მაგრამ მიზეზი მაინც სხვა იყო. თბილისელებმა ჯეროვნად არ შე-

ფასეს დაბალი ლიგის გუნდის ძალა და, რაც მთავარია, მგზავრობით დაღლილებმა და უწყობილებმა ვერა და ვერ მოახერხეს მათთვის ჩვეული თამაში...

მეორე დღეს დანიშნული გეგმით მატრი პრალის „დინამოსთან“. ეს გუნდი I ლიგის კოლექტივთა ახლახან დაშორებულ გათამაშებაში 18 ქულით ხუთეულში მოხვდა. მას წინ გაუსწრეს პრალის „დუკლამ“, პრეშოვის „ტატრანა“, ტრნავის „სლავიამ“ და პლზენის „სპარტაკმა“. ეს ხუთეული წარმოადგენს ჩეხოსლოვაკური ხელბურთის მთავარ ძალასა და იმედს, სწორედ

ამ გუნდების მოთამაშეთაგან შედგება ეროვნული ნაკრების ბირთვი. შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე „დინამოს“ სტადიონსავე გავემართეთ. გზად ერთ სავაჭრო აბრას წავეწყინეთ, რომელიც გვატყობინებდა, რომ ჩვენი „გარუნიკას“ ქუჩაზე ვიყავით, გახარებულმა ჩანი ბავარტინმა წამოიხმინა:

— არ შეგეშინდეთ, ბიჭებო. ქართული ქუჩით მივდივართ, შეხვედრას ნაღდად მოვივებით!

პრალის დინამოელებთან შეხვედრაში თბილისელებმა გაითვალისწინეს წინა დღეს მიღებული მწარე გაკვეთილი და გვემსაზიარებო, ტაქტიკურად ვაპირებდით თამაში წაგვეყვით. თანდათან გამოჩნდა ჩვენი ხელბურთელების ტექნიკური უპირატესობაც და ტაიმის მოგება სამბურთიან სხვაობით გამოიხატა — 10:7.

მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამოიკვეთა ჩვენი ანსამბლის „შეხატულებული“ ელერადობა და შეხვედრის დასასრულს ტაბლოზე მიიჩინა ციფრები — „19“ და „16“.


შეუღარებელი იყო ჩვენი მეკარე აბაიშვილი, რომელმაც პრალის მსოფლიო ჩემპიონატიდან 3 თვის გასვლის შემდეგ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ჩეხოსლოვაკელ მაყურებელს თავისი სიძლიერე. მატრის შემდეგ მასპინძლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველი მეკარე ტყუილად არ შეიყვანეს მსოფლიოს ხელბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში.

ყველაზე ძნელი მესამე შეხვედრა გამოდგა. „სპარტაკ-სოკოლოვოს“ ნაცნობ სტადიონზე გაიმართა. ამჯერად თბილისელთა მეტოქეები პრალის ნაკრების წევრები იყვნენ, რომლებიც ქალაქის საუკეთესო კლუბების — „დუკლას“, „დინამოსა“ და ჩქდ-ს მოთამაშეებისგან შედგებოდა.

პრალში სამდღიანი აკლიმატიზაციის შემდეგ თბილისელი ხელბურთელები თავს კარგად გრძობდნენ და საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ მოედანზე...

მატრის პირველი ნახევარი ჩვენებს თითქმის კარგს არავდგენ უქაღდა: ბოლო მომენტამდე პრალელები საგრძნობი სხვაობით იყვნენ წინ — 7:4, 9:6, 14:9... ორიოდე წუთში ფაქტებმა, ზარალიშვილმა და ცერცვაძემ 3 ბურთით შეამცირეს სხვაობა — 12:14 და გუნდები შესვენებაზე წვიდნენ. ტაიმი წავედით დასაბუღ ბრძოლაში, მაგრამ ყველას სჯეროდა, რომ გარდატეხის მომენტი უთუოდ დადგებოდა.

იმედს გამართლდა. მეორე ნახევარის დასაწყისშივე ჯერ ანგარიში გათანაბრდა, ხოლო შემდეგ ჩვენი გუნდის საბრძოლო განწყობილებას დამატა ყველაზე მთავარი კომპონენტი — აბსოლუტური სიზუსტე ურთიერთმოქმედებაში. მოპოვებულ



ლი უპირატესობა თბილისელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და მატრი დამარცხებელი მოგებით დაამთავრეს — 27:22.

ამ შეხვედრაში ერთხელ კიდევ დასატურდა ის ჭეშმარიტება, რომ, როცა საუკეთესო სოლისტები კოლექტივის საერთო ინტერესებს უპირიზილებენ თავიანთ ინდივიდუალურ ოსტატობას, წარმატების მოპოვება უფრო იოლი ხდება...

ჯ. ანუაძე



„მეყოფა, ქელაღა პარ სავსა“

ეს მოხდა 1964 წლის „ტურ დე ფრანსის“ XI ეტაპის შემდეგ. დასავლეთფრანკულმა ველოსიპედისტმა, მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონმა რუდი ალტიგმა მოულოდნელად უარი თქვა რბოლის გაგრძელებაზე. რა მიზეზით?



ალტიგი თავის გადაწყვეტილებას ასე განმარტავს: „ყოველ ფინიშს წინ უსწრებდნენ ცემა-ტყევა და სხვა ხულიგნური გამოხდომებები იმ სპორტსმენთა მხრივ, რომლებიც ფულადი პრემიის-

თვის იბრძვიან. არა მგონია, რომ მსგავს საქციელს რაიმე კავშირი ჰქონდეს სპორტთან. ფინიში უკვე სიცოცხლისთვის საშიში ხდება. მეყოფა, ყელაღა ვარ სავსე!“

თეატრი და ფეხბურთი

იმტკან ზოლტს ფეხბურთის მოყვარულები იცნობენ, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მსაჯს. მაგრამ მსაჯობა არ არის მისი ძირითადი პროფესია. ზოლტი ბუდაპეშტის ერთ-ერთი უდიდესი თეატრალური სცენის დირექტორია, რაც მას ძალზე ეხმარება მსაჯობაში.

„სწორად, — ამბობს ზოლტი, — ფეხბურთელები სიმულანტობენ და „სიკვილის სცენას“ ასრულებენ. მე იოლად ვანსხვავებ სიმულაციის ნამდვილი ტრამვისგან. მოგესხენებათ, თეატრში ყოველდღიურად მაღალი კვალიფიკაციის მსახიობებთან მიხედვით ვიყავი. ასე რომ, ჩემი მოტყუება არც ისე იოლია.“



▲ პანი (უნგრეთი). ლ. ასტალოშის სსოფინსადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა 9 ტური. ლიდერობას ინარჩუნებს საბუტოთა ოსტატი გიპსლისი — 7 ქულა.

▲ პარიზი. „ჟორჯ-ვალერის“ 50-მეტრიან აუზში საფრანგეთის ახალი რეკორდი დაამყარა ცნობილმა სპორტსმენმა ალენ გოტვალესმა. 200 მ თავისუფალი სტილით მან გატურა 2.03.6.

▲ ბიორლინქემი (აშშ). ხუთქიდე მძლეოსან ქალთა აქ გამართულ ასპარეზობაში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა პ. უინსლომ —

გულუბნებატკივბარი

გამოცდა ცამეტში დაინიშნა. რაკი სტუდენტმა მეცამეტეჯერ ველარ მოახერხა მისი გადაღება, ალბათ ასე მეწერო, ჩაილაპარაკა და სასოწარავეთილი კაცის იერით კარი შეაღო.

ლექტორმა გამომცდელი თვალი შეავლო ახალმშობსულს და სათვალის ზემოდანაც კარგად ივარაუდა მისი ცოდნის მარაგი.

...გამოსაცდელს № 13 ბილეთი ეჭირა და ტირილს აპირებდა.

— რა გინდა? — ჰკითხა ლექტორმა.

სტუდენტი ხედავდა სამ ლილს ლექტორის პიჯაკზე, ხედავდა სამ კედელს ოთახისას, ხედავდა უფალს სამპიროვანს და იმედიახად სდუმდა.

ლექტორი ხედავდა ორ უმეტველო თვალს სტუდენტის სახეზე, ორ უზარმაზარ შეცდომას, ორიანს საათის ციფერბლატზე და უიმედოდ იღიმებოდა.

— ხომ ხედავ, არ იცი.

— ვიცი.

— რა იცი?

— რომ არ ვიცი.

ცოტა ხნით ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ორივენი ფიქრობდნენ. ლექტორი ფიქრობდა მგელზე, რომელსაც ეჭვსი თვე ამაოდ უკითხავდა სახარებას. სტუდენტი ფიქრობდა სტიპენდიასზე. აი,

რა სხვადასწვანაირად ფიქრობდნენ ისინი!

— რატომ არ იცი?! ხომ იცი, რომ არ იცი, რომ გცოდნოდა, ვცოდნებოდა. როგორ გახდებდ უცოდნობა, აბა ვინ იცოდეს შენი საცოდინარი? წადი, შე საცოდავო, ორიანს გიწერ... ორიანს!

სტუდენტი წასვლას არ აპირებდა. გამომცდელმა მუდმივი კალამი დაიჭინა და მოუსყიდველი კაცის იერი მიიღო.

— მაინც, რატომ არ იცი?

— ვიცი.

— რა იცი?!

— თუ რატომ არ ვიცი.

ლექტორმა საათს დახვდა. ორი სრულდებოდა.

სტუდენტის საათზე უკვე შესრულებული იყო ორი და ციფერბლატის ისარი დამბლის ნიშნებს აშკლავებდა.

— რას აკეთებდი?

— დატვირთული ვიყავი.

— ვის რად უნდა შენი სიმღერა! სისიმღეროდ გქონდა საქმე? წადი და იმდღერ ახლა. ორიანს გიწერ... ორიანს!

— მე არასოდეს მიმღერია.

— ცმუკავდი ხომ?! მით უარესი. საცმუკავოდ გქონდა საქმე? წადი და იცეკვე ახლა. ორიანს გიწერ... ორიანს!

— გუნებაშიც არასოდეს მიცეკვია. ქორწილში ტაშიც კი არ დამიკრავს.

— აბა რამ დაგტვირთა?

— დავრბოდი.

— რა ჯანდაბა დავარბენინებდა?

— ფეხბურთის ბილეთი! დღეს თამაშა.

ლექტორს არ უთქვამს, შენი ცოდნის პატრონს რა ვეთამაშებო. არც ყვირილი დაუწყია ლექტორს. მან სათვალე გაიკეთა და გამომცდელი თვალით შეხედა სტუდენტს. მერე სათვალე მოიხსნა და ჩვეულებრივ თვალით შეხედა და მოეჩვენა, რომ ახლა სტუდენტი შეცქეროდა გამომცდელი თვალით.

— ბილეთზე მეც ბევრი ვირბინე... მაგრამ ვერ ვიშოვე. რა უყუო მერე, ალბათ ასე მეწერა. ფეხბურთის გულისთვის საქმეს ხომ არ გავაფუჭებდი. ხომ ხედავ, აქ ვუიყარ და გამოცდის მშვიდ დავ ვიბარებ, შენ კი... შენ! — ლექტორმა ხმას დაუწია — ვერც შენ იშოვე?

სტუდენტმა ვიშოვეო, ჩაილაპარაკა, და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბე მოიხსნა.

ლექტორს აღუვება დაეცყო. არა, იგი სულაც არ იყო გულგრილი. სულერთი როდი იყო მისთვის მწვანე მინდორი თუ ცისფერი ვერანი.

— მე საერთოდ არ დავდივარ ფეხბურთზე, — თქვა სტუდენტმა, — მით-უშეტეს, დღეს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების შტატარაზე ვთუხასტა რიგვარზე სხდომა ვეკავს

სტუდენტმა ვიშოვეო, ჩაილაპარაკა, და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბე მოიხსნა.

ლექტორს აღუვება დაეცყო. არა, იგი სულაც არ იყო გულგრილი. სულერთი როდი იყო მისთვის მწვანე მინდორი თუ ცისფერი ვერანი.

— მე საერთოდ არ დავდივარ ფეხბურთზე, — თქვა სტუდენტმა, — მით-უშეტეს, დღეს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების შტატარაზე ვთუხასტა რიგვარზე სხდომა ვეკავს

სტუდენტმა ვიშოვეო, ჩაილაპარაკა, და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბე მოიხსნა.

ლექტორს აღუვება დაეცყო. არა, იგი სულაც არ იყო გულგრილი. სულერთი როდი იყო მისთვის მწვანე მინდორი თუ ცისფერი ვერანი.


— მე საერთოდ არ დავდივარ ფეხბურთზე, — თქვა სტუდენტმა, — მით-უშეტეს, დღეს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების შტატარაზე ვთუხასტა რიგვარზე სხდომა ვეკავს

სტუდენტმა ვიშოვეო, ჩაილაპარაკა, და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბე მოიხსნა.

ლექტორს აღუვება დაეცყო. არა, იგი სულაც არ იყო გულგრილი. სულერთი როდი იყო მისთვის მწვანე მინდორი თუ ცისფერი ვერანი.

— მე საერთოდ არ დავდივარ ფეხბურთზე, — თქვა სტუდენტმა, — მით-უშეტეს, დღეს ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოების შტატარაზე ვთუხასტა რიგვარზე სხდომა ვეკავს

სტუდენტმა ვიშოვეო, ჩაილაპარაკა, და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბე მოიხსნა.



▲ პანი (უნგრეთი). ლ. ასტალოშის სსოფინსადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა 9 ტური. ლიდერობას ინარჩუნებს საბუტოთა ოსტატი გიპსლისი — 7 ქულა.

▲ პარიზი. „ჟორჯ-ვალერის“ 50-მეტრიან აუზში საფრანგეთის ახალი რეკორდი დაამყარა ცნობილმა სპორტსმენმა ალენ გოტვალესმა. 200 მ თავისუფალი სტილით მან გატურა 2.03.6.

▲ ბიორლინქემი (აშშ). ხუთქიდე მძლეოსან ქალთა აქ გამართულ ასპარეზობაში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა პ. უინსლომ —